ფილმი-პორტრეტი ტელევიზიაში

ნარგიზა კანკია, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.08

აბსტრაქტი

ჩვენი აზრით, ნამდვილი საეკრანო პორტრეტის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტურ ფილმში, რადგან მის მომზადებას სჭირდება დიდი დრო და აქ გადაღების მეთოდებიც განსხვავებულია, მაგალითად, ასეთი პორტრეტის შესაქმნელად ხშირად გამოიყენება ხანგრძლივი დაკვირვების მეთოდი - ე.წ. „შეჩვეული კამერა,"- როდესაც გმირები ბოლოს და ბოლოს ისე ეჩვევიან კამერას, რომ ისინი მის იქ არსებობას უკვე აღარც აკონტროლებენ. ხოლო გადაცემისთვის (სიუჟეტი), რომელიც ერთჯერადი ჩვენებისთვისაა გათვალისწინებული, ეს ფუფუნება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, რომ არაფერი ვთქვათ, ფილმში გამოყენებული აუდიო-ვიზუალური საშუალებების მთელს არსენალზე.

ფილმი-პოტრეტის შექმნა დიდ ცოდნასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ცხადია, ამ ჟანრის ფილმებში გადაღების მეთოდები და კომპოზიციური წყობაც მეტწილად თემით განისაზღვრება, მაგრამ ყველა მათგანში მხატვრული ელემენტების არსებობა მაინც შეიმჩნევა.

სურათის ნათლად წარმოსაჩენად, განვიხილეთ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ფილმი-პორტრეტი, რომელთაგან ერთი ისტორიული პიროვნების ცხოვრებას ასახავს - გიორგი კალანდიამ სატელევიზიო ფილმ-პორტრეტში - „აღმოსავლეთის მზე- გურჯი ხათუნი" -საინტერესო თემის გარდა, სწორედ მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალების ოსტატური გამოყენებით შესძლო მაღალმხატვრული და შემეცნებითი პორტრეტული ნამუშევრის შექმნა.

ქ. სადღობელაშვილის ფილმ-პოტრეტში - „აქ და იქ“ (რეჟ.შ.შენგელი)- გავიცანით ასაკოვანი ქალბატონი, რომელსაც თითქოს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ, თემის მხატვრული ხერხებით გადაწყვეტით, ფილმის შემქმნელებმა მოახერხეს გამოეკვეთათ ამ პიროვნების ფსიქოლოგიური ხასიათი... ასეთი გმირები აუდიტორიის ყურადღებას აუცილებლად მიიქცევენ.

საკვანძო სიტყვები: ფილმი-პორტრეტი, აუდიო-ვიზუალური საშუალებები, კომპოზიციური წყობა, ისტორიული პიროვნება, ფსიქოლოგიური ხასიათი

Film –Portrait on TV

Nargiza Kankia, Doctor of Journalism, Professor

Davit Agmashenebeli University of Georgia

Abstract

In our opinion, it is possible to create a real screen portrait only in a documentary film, because its preparation takes a long time and the shooting method here is also different, for example, a long observation method is often used to create such a portrait - the so-called “Accustomed camera”, when the characters finally get so used to the camera that they don’t even control its presence anymore. And for a program (story), which is intended for a single screening, this luxury is less available, to say nothing of the entire arsenal of audio-visual means used in the film.

Creation of a film-portrait requires great knowledge and a creative approach. It is clear that the shooting methods and compositional arrangement in this genre of films are largely determined by the theme, but the presence of artistic elements can still be observed in all of them. In order to present the image clearly, we discussed two different film-portraits, one of which depicts the life of a historical person –in the TV film-portrait – in “Sun of the East –the Gurji Khatun”–in addition to the interesting topicGiorgi Kalandia could create a highly artistic and informative portrait work by the skillful use of various expressive means.

In film-portrait – “Here and There” by K. Sadgobelashvili (director Sh.Shengeli) - we met an elderly lady who seemed to have done nothing special, but by solving the theme with artistic methods, the filmmakers managed to highlight the psychological character of this person... Such characters will definitely attract the attention of the audience.

Keywords: film-portrait, audio-visual means, compositional arrangement, historical personality, psychological character

საეკრანო პორტრეტის შექმნა საკმაოდ რთულია, რადგან აქ, ადამიანის პიროვნული თვისებების დამაჯერებლად გადმოცემის გარდა, საჭიროა ამბის საინტერესოდ მიტანა მაყურებლამდე. ცნობილია, რომ ამ სახის ნაწარმოებში აისახება სინამდვილეში მომხდარი ფაქტები და მოვლენები, მასში ზუსტად არის მითითებული მოქმედების ადგილი და მონაწილე გმირების სახელები, მაგრამ, მეორე მხრივ, ის გამოირჩევა განსაკუთრებული კომპოზიციური წყობით, რომელიც დამახასიათებელია მხატვრული ნაწარმოებისთვის.

ჩვენი აზრით, ნამდვილი საეკრანო პორტრეტის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტურ ფილმში, რადგან მის მომზადებას სჭირდება დიდი დრო და აქ გადაღების მეთოდებიც განსხვავებულია - მაგალითად, ასეთი პორტრეტის შესაქმნელად ხშირად გამოიყენება ხანგრძლივი დაკვირვების მეთოდი - ე.წ. „შეჩვეული კამერა“- როდესაც გმირები ბოლოს და ბოლოს ისე ეჩვევიან კამერას, რომ ისინი მის იქ არსებობას უკვე აღარც აკონტროლებენ. ხოლო გადაცემისთვის (სიუჟეტი), რომელიც ერთჯერადი ჩვენებისთვისაა გათვალისწინებული, ეს ფუფუნება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, რომ არაფერი ვთქვათ, ფილმში გამოყენებული აუდიო-ვიზუალური საშუალებების მთელს არსენალზე.

ვინაიდან ტელევიზიის ეკრანული წინამორბედია კინემატოგრაფი (სწორედ მისგან გადმოიღო ტელევიზიამ მრავალი გამომსახველობითი საშუალება), გვინდა ვახსენოთ,

რომ პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი-პორტრეტი საქართველოში, არის ვასილ ამაშუკელის "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს," მეტიც, ცნობილმა ფრანგმა კინოისტორიკოსმა - ჟორჟ სადულმა - კ. გოგოძეს (მან იპოვა ეს ფილმი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა) მოსწერა: „რამდენადაც ვიცი, 1912 წლამდე, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (1200 მეტრი) არც ერთი ცნობილი პიროვნებისადმი არ მიუძღვნიათ." *

პორტრეტში მთავარი ფიგურა არის ადამიანი, დანარჩენი - გარემო, ფაქტები და მოვლენები, სხვადასხვა ადამიანების საუბრები და ა.შ. ემსახურება კონკრეტულად ამ პიროვნების ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნას. ამიტომაც ამბობენ ამ ჟანრზე სპეციალისტები, რომ ის "ხასიათების ისტორიაა".

პიროვნების თვისებების გახსნა, ცხადია, ფილმის შემქმნელებისაგან ფსიქოლოგიის ცოდნასაც ითხოვს. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანებს აღელვებთ ის, თუ როგორ გამოიყურებიან, რამდენად საინტერესო იქნება მათი საუბარი მაყურებლებისთვის და ა.შ. ბუნებრივია ისიც, რომ ყველას უნდა იმაზე კარგი გამოჩნდეს, ვიდრე ის არის სინამდვილეში. ე.ი. გმირი ეკრანის წინ ისედაც თამაშობს. ამიტომ, აზრს მოკლებული არ არის კინოკრიტიკოს ვ. მანსკის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ დოკუმენტური კინო არ არსებობს, რადგან ადამიანები აქაც თამაშობენ.

ნიღბის ფენომენზეც ბევრჯერ გაგვიგია მწერლების, ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების გამონათქვამები. მაგალითად, ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნიღბების შესახებ ფილოსოფოს დრაგან ერემიჩს, კერძოდ, ის ამბობდა- როდესაც ადამიანები ნიღაბს იკეთებენ, ისინი ზოგჯერ ვერც კი ამჩნევენ, თუ როგორ იქცევა ის მათ ნამდვილ სახედო.

ვფიქრობთ, ფილმის შემქმნელები არასწორად იქცევიან მაშინ, როცა მიუთითებენ გმირებს, როგორ დაჯდეს, როგორ გაიაროს, გაიღიმოს და ა.შ. (შეიძლება, რამდენიმე დუბლიც გადაიღონ), რადგან, ყოველივე ამის შედეგად, ეს პიროვნება მის ბუნებრივ თვისებებს სულ უფრო და უფრო შორდება.

ცნობილი ფაქტია, რომ დოკუმენტურ ფილმებში ზოგჯერ დადგმით სცენებსაც მიმართავენ. ხანდახან ეს აუცილებელიც კი არის ფაქტების აღსადგენად, ან ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ ეს ხერხი ფილმის შემქმნელებისგან პროფესიონალიზმს (შემოქმედებით თვალთახედვას, ესთეტიკური და ეთიკური ნიუანსების გათვალისწინებას და სხვ.) მოითხოვს.

დადგმული სცენების გამოყენებისას, ფილმის ავტორებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა ტელეჟურნალისტიკის ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარი, პროფესორი ნიკო ლეონიძე. ის წერდა: „იმისათვის, რომ შედეგი წარმატებული აღმოჩნდეს, არა მიმსგავსებული, არამედ ნამდვილი ცხოვრებისეული, ეს მეთოდი მოითხოვს განსაკუთრებულ ოსტატობას, საავტორო და რეჟისორულ ფანტაზიას, ოპერატორულ გამომგონებლობას და აუცილებლად ზომიერების გრძნობის დაცვას, სხვაგვარად, გარდაუვალია სიყალბე“**

განსაკუთრებით ხშირად იყენებენ დადგმულ სცენებს ისტორიულ თემაზე შექმნილ ფილმებში, რაც ძირითადად განპიროვნებულია ფოტო და ვიდეომასალის არარსებობით. თუმცა, ამ ხერხის გარდა, ავტორს შეუძლია მიმართოს სხვა გზებსაც - ამონარიდები წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციებიდან, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ინტერვიუები სპეციალისტებთან, კომპიუტერული გრაფიკა და სხვ.

ასეთი სახის სატელევიზიო ფილმ-პორტრეტებს შორის, გვინდა გამოვყოთ გიორგი კალანდიას “აღმოსავლეთის მზე –გურჯი ხათუნი”, რომელიც ეხება თამარ მეფის შვილიშვილის ცხოვრების ისტორიას. უფრო სწორად, მასში ავტორი გვიყვება, თამარ ბაგრატიონი, საქართველოდან წასვლის შემდეგ, როგორ გახდა თურქებისთვის ძალიან საპატივცემულო და საყვარელი ქართველი დედოფალი. ასევე, რამდენად დიდი სიყვარული არსებობდა მასსა და მის მეუღლეს შორის (თუმცა, იყო ცუდი შემთხვევაც), როგორ მიიღო თამარმა ისლამი და უმძიმეს პერიოდში როგორ დაეხმარა მას მევლანა (რუმი) .

ფილმი იწყება ხორუმის ცეკვით, რითაც მაყურებელი თავიდანვე ინტერესდება- გურჯი ხათუნის ისტორია რა კავშირში უნდა იყოს ამ რიტმულ და ულამაზეს

ცეკვასთან?!, მაგრამ მალევე გაისმის კადრგარე ტექსტი (მას თვითონ გიორგი კალანდია კითხულობს): „რატომ ზვერავენ ჩოხებში ჩაცმულები ჰორიზონტს?, ჩვენ ამ როკვას ისტორიის სულით გავაცოცხლებთ… შავჩოხიანების ნიშანს დედაციხე დიდი ხანია ელოდება, რადგან შემოსევებმა საქართველოს სიმშვიდე დააკარგვინა...უკვე ორი დღეა სამხრეთ საზღვართან მოლაპარაკება მიდის. სულთანმა რუსუდანს, ომის ნაცვლად, ნათესაობა შესთავაზა. სტუმრებმა დედაციხეს მიაშურეს, დღეს ამ ციხიდან თამარ მეფის შვილიშვილს გააცილებენ“...

აღსანიშნავია, რომ ფილმში - „აღმოსავლეთის მზე - გურჯი ხათუნი“- ვიზუალური მხარის დინამიკას ბუნებრივად ერწყმის ემოციური კადრსგარე ტექსტი, მაგალითად, თვითონ მომავალი დედოფლის შინაგანი და გარეგნული დახასიათებისთვის, ავტორი არ იშურებს მხატვრულ ხერხებს: „13 წლის გოგონა მშობლებს, მეგობრებს სამუდამოდ ემშვიდობებოდა... მომავალმა დედოფალმა მხოლოდ ის იცოდა, რომ მოხდენილ ქართულს უკანასკნელად ცეკვავდა თავისი სახლის ეზოში... ის იყო ყველაზე ლამაზი, ყველაზე განათლებული, მასთან მეგობრობაზე ოცნებობდნენ, მასზე ლეგენდები იქმნებოდა“...

შედარებების, მეტაფორების ჰიპერბოლების გამოყენებას არ გაურბის ავტორი იმ ქვეყნის და ქალაქის დასახასიათებლადაც, სადაც ფილმის გმირის ცხოვრება გაგრძელდა- „ჩვენი მანქანა ანკარისაკენ მიდის, სწორედ აქედან მოიპოვა დედოფლის სახელი... აქედან ქალაქი ხალიჩას ჰგავს, მიჯრით მიწყობილ სახლებს რომ უყურებ, გგონია, ადამიანები ამ ვიწრო ქუჩებში ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიან...

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ამ ფილმში დიდი ადგილი ეთმობა გურჯი ხათუნისა და სულთანის სიყვარულის ისტორიას, რომელსაც მეტ სიფაქიზეს და რომანტიულობას სძენს ისეთი დეტალის შემოტანა, როგორიცაა ეს ფაქტი - სულთანმა, გურჯი ხათუნისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად, ვერცხლის მონეტის მოჭრა გადაწყვიტა, რომელზეც მისი გამოსახვა სურდა, მაგრამ, რადგან ეს კანონით აკრძალული იყო, მან ისეთი ხერხი გამოიყენა, რომლითაც არც კანონი დაარღვია და თავისი სურვილიც აიხდინა (თამარი ვერცხლის მონეტაზე მზის სახით წარმოაჩინა).

საავტორო ტექსტი ამ დროს სხვა ამბავსაც გვამცნობს: „იგივე სასახლეში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა- დედოფალმა რუსუდანმა ღვთის შიში დაივიწყა“... (მან სიძეს წერილი მისწერა, სადაც თავის ძმისწულსა და ქალიშვილს სიძვაში სდებდა ბრალს), რითაც სიძე ძალიან განარისხა... სულთანმა თამარს რჯულის გამოცვლა მოსთხოვა... ბევრი ფიქრისა და ორჭოფობის შემდეგ, ის მართლაც მოექცა მუსულმანად ... ამ ფაქტს გ. კალანდია შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „გამოხდა ჟამი, გურჯი ხათუნად წოდებული თამარ დედოფალი, უკვე ისლამის სამყაროში, წმინდანის შარავანდეთით გაცისკროვნდა“. უმძიმეს წუთებში კი, როცა ის ყველასაგან გაირიყა, მან გამოსავალი მევლანაში ჰპოვა (ან უბრალოდ - რუმი, რომელმაც სუფიზმს დაუდო საფუძველი).

ასევე მხატვრულად აღწერს ავტორი თამარის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ისტორიას: „სასახლე დღესაც უყურებს მისი მეუღლის საფლავს... მანძილი სასახლიდან აკლდამამდე ორიოდე ნაბიჯია, ისეთივე მოკლე მანძილი, როგორიც გურჯი ხათუნის ცხოვრებაში ბედნიერებასა და უბედურებას შორის იყო“.

დაქვრივებულ დედოფალს, ამ დროს და შემდეგაც, კვლავ მევლანასთან მეგობრობა დაეხმარა. ის რომ არა, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა თამარს იმდენი უბედურების გადატანა (დედის ღალატი, ქმრის მკვლელზე იძულებით გათხოვება, მონღოლების შემოსევის შედეგად, ლტოლვილობა და ბოლოს -ერთადერთი ვაჟის სიკვდილი), ამიტომ, პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ქართველმა დედოფალმა მას აკლდამა აუგო... ამ ფაქტთან დაკავშირებით, ფილმში საოცარ სიტყვებს ვისმენთ: „აკლდამის თავთან ერთი ვარსკვლავი ჩნდება და ბეჭდის თვალივით ბრდღვიალს იწყებს, აღმოსავლეთში სჯერათ, რომ ამ ვარსკვლავს ქართველი დედოფლის სახელი ჰქვია - მასავით მიუწვდომელი და ლამაზია.“

ამ ფილმ-პორტრეტში გამოყენებულია ინტერვიუებიც და ეს, ჩვენი აზრით, კარგია, რადგან კონკრეტულ ფაქტზე თუ მოვლენაზე კომპეტენტური ადამიანის მოსაზრებები მეტ დამაჯერებლობას სძენს ფილმში მოთხრობილ ამბავს. მაგალითად, საინტერესოდ მიგვაჩნია ინტერვიუ ანკარის მუზეუმის ისლამური ნუმიზმატიკის სპეციალისტთან, რომელიც ადასტურებს, რომ მონეტაზე გამოსახული მზე

საქართველოს დედოფლის- რუსუდანის- ქალიშვილია, ხოლო ლომი ქეიხუსრევია. ის საუბრობს იმის თაობაზეც, რომ ეს არ იყო უბრალო სიყვარულის ისტორია... პროფესორი ელიზბარ ჯაველიძეც ამტკიცებს, რომ სულთანს მეუღლის პორტრეტის ფრესკად გამოყენება უნდოდა მეჩეთში, მაგრამ ამას კანონი კრძლავდა და ამიტომ სიმბოლურად გამოხატა მონეტაზე. ამ ფილმში, ასევე, საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი მაგალი თოდუა და მევლანას მუზეუმის დირექტორი - ნაჯი ბაქირჯიც.

საერთოდ, ეკრანული პორტრეტი, გარდა მდიდარი ვერბალური მხარისა, ვიზუალურადაც შემოქმედებით მიდგომას ითხოვს (ხედების, რაკურსების, მონტაჟის, შენელებული და აჩქარებული კადრების, ფერების და სხვ. სწორად და საინტერესოდ გამოყენებას). მით უმეტეს, ეს ეხება ფილმს, თუნდაც ის სატელევიზიო იყოს.

„ გურჯი ხათუნში“ ბევრი დადგმითი სცენაა, რაც, ჩვენი აზრით, გამართლებულია - ის, ასეთ შემთხვევაში, ისტორიული ფაქტების აღდგენის საუკეთესო საშუალებად გვევლინება. ემოციურობას სძენს ამ ფილმს ეფექტური ორმაგი ექსპოზიციების სიმრავლეც (მაგალითად, გურჯი ხათუნის სურათი ცეცხლის ფონზე).

ასევე, მეტ მხატვრულ ელფერს ჰმატებს ამ ნამუშვარს აჩქარებული კადრები - მაგალითად, სასახლის აღწერის დროს, მაყურებელს შეუძლია თვალი შეავლოს ძველ ორნამენტებს.

გიორგი კალანდიამ სატელევიზიო ფილმ-პორტრეტში - „ აღმოსავლეთის მზე- გურჯი ხათუნი“ -საინტერესო თემის გარდა, სწორედ მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალების ოსტატური გამოყენებით შესძლო მაღალმხატვრული და შემეცნებითი პორტრეტული ნამუშევრის შექმნა.

შესაძლებელია, ფილმი-პორტრეტის გმირად მოგვევლინოს „ჩვეულებრივი“ ადამიანიც, მაგრამ ისიც რაღაცით გამორჩეული, საინტერესო პიროვნება უნდა იყოს აუდიტორიისათვის. მაგალითად, ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიის ნამუშევარია ქეთევან სადღობელაშვილის სატელევიზიო ფილმი -პორტრეტი „ აქ და იქ“ (1914წ.) ეს არის პორტრეტი კახეთში მცხოვრები 101 წლის თამარ ხუციშვილის შესახებ,

რომელიც, თავისი წლოვანების მიუხედავად, ახლაც აქტიურ ცხოვრებას ეწევა- ხატავს, ქარგავს, წერს...

ეს ფილმი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ინტერვიუ-პორტრეტს (მონოლოგის სახით)- მთელი ფილმის განმავლობაში ქალბატონი თამარი ძალიან საინტერესოდ ჰყვება თავისი ცხოვრების შესახებ და მისი ბიოგრაფიაც ბუნებრივად უკავშირდება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს... (ლეკიანობის დროს მომხდარი ტრაგიკული ამბები, ბოლშევიკების შემოჭრა სოფელში, მეორე მსოფლიო ომი...).

რაც შეეხება დადგმით სცენებს, ის ამ ფილმში გამოყენებულია მხატვრული მიზნით - მაგალითად, მაყურებელი ხვდება, რომ გოგონა, რომელიც ხშირად ჩანს ეკრანზე, ქალბატონი თამარის ბავშვობის პროტოტიპია. ის ხან ბოტებს ნატრობს, რომ ფეხები არ დაუსველდეს - ვხედავთ, ბავშვი როგორ მიდის წვიმაში (ბოტებიანი ფეხები ახლო ხედით), ხოლო როცა გმირი იხსენებს თავის პირველ სიყვარულს, ეს გოგონა აღფრთოვანებით კითხულობს პატარა ბიჭის მოწერილ სამ სიტყვას: „მე შენ მიყვარხარ“.

ამ ფილმში კარგ რეჟისორულ მიგნებად მიგვაჩნია ის, რომ კადრსგარე ტექსტს წარმოგვიდგენს პატარა გოგონა (მაგალითად, ის კითხულობს რამდენიმე ამბავს გმირის დღიურიდან).

პორტრეტების შემქმნელებმა კარგად იციან, რომ პიროვნების შესახებ მეტ წარმოდგენას იძლევა იმ გარემოს აღწერაც, სადაც გმირი ცხოვრობს და საქმიანობს. ამიტომ მოსაწონია, რომ ამ ფილმში ეს მხარეც საკმაოდ სრულყოფილად არის წარმოჩენილი -სოფლის პეიზაჟი, სახლის ეზო, ეკლესია...რომელსაც ძირითადად შორი და ახლო ხედებით ვხედავთ. მეტიც, შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ გვესმის ხმები, რომელიც სოფლისთვის ბუნებრივია- ძაღლების ყეფა, ფოთლების შრიალი, მაგრამ ძირითადად მაინც წყლის წვეთების ხმა ისმის (გოგონა პირს იბანს, ხიდან წყლის წვეთები ეცემა). ფილმს ასევე ემოციურობას სძენს მუსიკა, რომელიც მას ფონად გასდევს. ლოგიკურად შემოდის საგალობელიც, როდესაც ფილმის გმირი ჰყვება სიზმარს (თამარ მეფის შესახებ).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმ-პორტრეტს დინამიურობას აძლევს ხედების ხშირი მონაცვლეობა. მაგალითად, შორი და საერთო ხედებია გამოყენებული

სოფლის პეიზაჟის, ეკლესის ჩვენებისას; საერთო, ახლო და მსხვილი ხედითაა ნაჩვენები ქალბატონი თამარის საუბარი; სუპერ ახლო ხედით -სათვალე, ნაწერები, ნაქარგები, ნახატები...

ვფიქრობთ, ვერტიკალური და ჰორიზონტალური პანორამული გადაღებებიც ძალიან უხდება ამ ფილმს (სოფლის ხედები, ეკლესია, კედელზე დაკიდებული სურათები).

ფილმ-პორტრეტში- „აქ და იქ“ - საუბრობს მხოლოდ ქალბატონი თამარი. ეს, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია იმის გასაგებად, თუ როგორი პიროვნებაა ეს ადამიანი. (კეთილი, ოპტიმისტი და ცოტა ფანტაზიორიც...) მისი სიტყვები ფილმის ბოლოს მთლიანად ხსნის გმირის ბუნებას: „ძალიან მინდა სიცოცხლე - მარადიული სიცოცხლე, მარადიული ჯანმრთელობა და მარადიული სიხარული -აი, ეს სამი რამ მინდა და არა მარტო ჩემთვის, არამედ სხვეებისთვისაც და ყველასთვის ვლოცულობ“.

ფილმის ბოლო კადრები, ესაა გახსენება ყველა იმ მნიშვნელოვანი ფაქტისა, რაც უკვე ვიხილეთ, ამის შემდეგ გამოჩნდება გოგონა, (სწორედ ის მთავარი პერსონაჟი ბავშვობიდან), რომელიც იცინის, ხტუნავს და კამერაში იყურება. დასასრულს კი ვკითხულობთ წერილს, რომელშიც ქალბატონი თამარი თავის შვილებსა და შვილიშვილებს უსურვებს, როგორც ერთმანეთის, ისე სიცოცხლისა და ქვეყნის სიყვარულს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სატელევიზიო ფილმი-პოტრეტის შექმნა დიდ ცოდნასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ცხადია, ამ ჟანრის ფილმებში გადაღების მეთოდები და კომპოზიციური წყობაც მეტწილად თემით განისაზღვრება, მაგრამ ყველა მათგანში მხატვრული ელემენტების არსებობა მაინც შეიმჩნევა.

ლიტერატურა:

1. ლეონიძე, ნ. ტელეჟურნალისტიკა, თსუ, 2002:35

2. ჟვანია,გ. ქართული დოკუმენტური კინო, 1970, გვ.17

3.youtubeგურჯი+ხათუნი&rlz=1C1GKLB_enGE636GE676&oq=you&aqs=chrome.0.69i59j46i39i199i457i465i650j46i131i433i512j0i131i433i512j0i131

4.youtube+დოკ.+ფილმი"აქ+და+იქ"&sca_esv=579179295&rlz=1C1GKLB_enGE636GE676&sxsrf=AM9HkKm-eWT6T-yR